წერილის ნომერი: **73-01240183796**
თარიღი: **18/01/2024**

ადრესატი: ქეთევან ნიკოლეიშვილი
პირადი ნომერი: 01511104832
მისამართი: თბილისი მარია პერინის ქ. N 28

ქალბატონო ქეთევან,

თქვენი 2024 წლის 08 იანვრის განცხადების საფუძველზე (N19/01240081305-73) გაცნობებთ:

1. სტატისტიკა და მონაცემები:

დანართის სახით გიგზავნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2015 წელს ჩატარებული მიუსაფარი ცხოველების რაოდენობრივი კვლევის შედეგებს.

2. სტერილიზაცია/კასტრაციის პროგრამები:

სსიპ „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო“ ცხოველთა პოპულაციის მართვის მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახორციელებს მიუსაფარი ცხოველების უფასო სტერილიზაცია/კასტრაციისა და ანტირაბიული (ცოფის საწინააღმდეგო) ვაქცინაციის პროგრამას. ასევე, სააგენტომ 2023 წლის განმავლობაში ორჯერ განახორციელა პატრონიანი ცხოველების უფასო სტერილიზაცია/კასტრაციის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც, მეპატრონეებს თავიანთი ცხოველების მუნიციპალურ თავშესაფარში ინდენტიფიკაცია-რეგისტრაციის შემთხვევაში, საშუალება მიეცათ, მიეღოთ უფასო სტერილიზაცია/კასტრაციის მომსახურება.

3. არსებული კანონმდებლობა:

მოგახსენებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის წესი განსაზღვრულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის დადგენილება N7-28-ით. აღნიშნული დადგენილება განსაზღვრავს სსიპ „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს“ უფლებებსა და მოვალეობებს, ასევე, მეპატრონეების ვალდებულებებსა და მიუსაფარ ცხოველებთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლი განსაზღვრავს ცხოველის წამების, მისდამი სასტიკი მოპყრობის ან სხვაგვარი ძალადობის შემთხვევაში პასუხისმგებლობის ზომებს. კერძოდ:

„1. ცხოველის წამება, მისდამი სასტიკი მოპყრობა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც მისი დასახიჩრება გამოიწვია, –

ისჯება ჯარიმით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოცდან ორას ორმოც საათამდე, შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ერთ წლამდე ან

თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) ჯგუფურად;

ბ) საჯაროდ;

გ) არაერთგზის;

დ) არასრულწლოვანის თანდასწრებით;

ე) ორი ან ორზე მეტი ცხოველის მიმართ, –

ისჯება ჯარიმით, შინაპატიმრობით ვადით ერთიდან ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.

3. ცხოველის წამება, მისდამი სასტიკი მოპყრობა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც მისი დაღუპვა გამოიწვია, –

ისჯება ჯარიმით, შინაპატიმრობით ვადით ერთიდან ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ოთხ წლამდე.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი:

ა) ჯგუფურად;

ბ) საჯაროდ;

გ) არაერთგზის;

დ) არასრულწლოვანის თანდასწრებით;

ე) ორი ან ორზე მეტი ცხოველის მიმართ, –

ისჯება ჯარიმით, შინაპატიმრობით ვადით ერთიდან ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.“

4. გამოწვევები და ხარვეზები:

მიმდინარე პერიოდში არ არსებობს ცხოველებთან დაკავშირებით (მათ შორის მიუსაფარი ცხოველების) ერთიანი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც გავრცელდება მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტი აქტიურად განიხილავს კანონპროექტს „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“. აღნიშნული კანონპროექტი ქვეყნის მასშტაბით კომპლექსურად დაარეგულირებს მთელ რიგ საკითხებს, მათ შორის: რეგულაციის ჩარჩოებში მოექცევიან ცხოველების მეპატრონეები, მომშენებლები, ცხოველთა ბაზრობები, ვეტერინარული კლინიკები. ასევე, ყველა მუნიციპალიტეტი ვალდებული იქნება აწარმოოს მიუსაფარი ცხოველების პოპულაციის მართვა ჰუმანური გზით (სტერილიზაცია/კასტრაციის მეთოდით). აღნიშნული კანონპროექტის მიღება, მნიშვნელოვან, პოზიტიურ გავლენას მოახდენს მიუსაფარი ცხოველების რაოდენობის შემცირებასა და მათი კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე.

დანართი: 1 (ერთი) ფურცელი

გიორგი კობიაშვილი

სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო-დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

0178, საქართველო, თბილისი, დავით გურამიშვილის გამზირი ჩიხი N5
(+995) 32 2421424; (+995) 577 244405
N5, DAVIT GURAMISHVILI STR, TBILISI, GEORGIA, 0178